

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლევან სისვაძე

**სახელმწიფო მართვის ინოვაციური მეთოდები
ეთნოპოლიტიკური უსაფრთხოების
უზრუნველსაყოფად საქართველოში**

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება
შიფრი 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი ლევან სისვაძე

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე
ელექტრონული ბიზნესისა და საჯარო მმართველობის დეპარტამენტში

ხელმძღვანელი: პროფესორი ოთარ ქოჩორაძე

ოფიციალური რეცენზენტი: პროფესორი მარიამ ცაცანაშვილი

ოფიციალური რეცენზენტი: პროფესორი ჯემალ გახოკიძე

დაცვა შედგება 2019 წლის "12 " ივლისი, 12 საათზე , საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი N 6 , აუდიტორია 105

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი თამარ რევაზიშვილი

ABSTRACT

The process of ethno-political conflict in the regime of practically "postponing" by the Georgian authorities in Abkhazia and Samachablo. In order to overcome this problem, the work is an attempt to address the causes of the conflict and the ways of solving it from realpolitik on the basis of the new understanding of

the theory of balance. In particular, personal balance and political balance (balance of power). The personal balance allows the parties to harmoniously contradict each other (eg Heider), Who have been created with unpleasant experiences in the person's knowledge system (Festinger) and to promote these resistance (cognitive ballus theory). As for the political balance, or balance of power, the approach of the ethno-political conflict in Georgia has been used to address the confrontational balance that has led to the settlement of the conflict. In contrast, the paper uses a cooperative approach, ie without balance, without the involvement of a party affected by the conflict.

On the basis of this methodological approach, the task of modeling technologies for conflict settlement is based on economic leverage. The results of the research are arguably an analysis of the European precedent of ethno-conflict management and the experimentation of Asian experimental (China-Hong Kong and Taiwan) analysis. The efforts of the Georgian authorities at different times of the use of economic leverage and "failure" (the idea of the Ergnetic Zone, the Stability of the Caucasus, The joint use of Enguri Hydroelectric Power Plant in Georgia for the development of hydrogen energy development and practice). The idea of creating a special economic zone in the conflict regions is the area of trade and innovation. The role of the EU and Russia in the implementation of large economic projects in the special economic zone is substantiated.

The study provides an overview of the research topic, research object, research objectives, research objectives and tasks, research community problems, research innovation, theoretical methodological basis, practical purpose of the work.

Review of literature used in the work: It is important for evaluation of the causes of the conflict and the strong and weakness of the international policy, as well as the publication of the books, political and historians, the historical and political processes of the countries, and also the publications published by the politicians.

In the first chapter of the work, the role of public governance in the field of ethno-political safety (theoretical grounds) is considered. Scientific explanation of ethnic conflicts and their characteristics; Public Governance and Main Trends for Ethno-political Conflict Resolution in Georgia; The essence of Georgia's new reality and innovative approach to ethno-political conflict management.

The second chapter of the work examines the priorities of economic aspects in the regulation of ethnic conflicts (on the example of Abkhazia and Samachablo); Qualitative research and quantitative research.

The third chapter of the work discusses international methods of conflict management (traditional approaches and experimental abilities). The importance of experimental abilities in the traditional approach of the system; European precedents for the settlement of ethnic conflicts; China economic experiments in the process of ethnic integration.

The fourth chapter of the work examines the economic scenario for the development of ethnochemicals of Georgia. Economic Development and National Security Concept of Georgia; Economic development tactical moves in the conflict zone.

Conclusions and recommendations have been obtained after studying the work.

The general essence of the conclusions of the conclusion is: on the basis of the origin of the conflict, the assessment of the dynamics of the conflict, the dialogue, the problem and the methodological integration of the personal forces and the balance. The important leverage of the conflict settlement is the creation of economic zones, the importance of economic sustainability for a stable life.

Strengthening military elements as a balanced force in the power of the forces is a further destructive character of the conflicts. Localization of economic aspects is a leverage of the conflict situation and the effective management of the conflict, which is the vector of impact on the frozen process in the current reality. Received Recommendations: To meet certain requirements of confrontation parties by mutual understanding; In the process of conflict resolution, as many subjects as possible in the field of management must be involved in the principle of multilateral diplomacy; Participants of the conflict consider their demands from ethnocentrism and dehumanist positions, so a reasonable entity should be oriented towards peace, and the most difficult task will be the transformation of the process.

შესავალი

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა და ისტორიულად ტოლერანტობით ხასიათდება. XX საუკუნის მიწურულიდან კი ეს მოცემულობა ქვეყანაში კონფლიქტების პროვოცირების საფუძველი გახდა. აღიარებულია, რომ ბოლო პერიოდში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში წარმოქმნილი კონფლიქტები მკვეთრად გამოხატულ ეთნიკურ შინაარსს ატარებენ, რაც კონფლიქტის სრულ ეთნიზაციას იწვევს, ქმნის პანიკურ განწყობილებას და რეალური აგრესიის ფონზე ამცირებს შესაძლო კომპრომისების ალბათობას. არა და, ეს ანტიკოლონიური და პოსტსაბჭოთა ავტორიტარული ელემენტია, გეოპოლიტიკური ინტერესის საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემაა, რომელიც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების „აქილევსის ქუსლად“ იქცა.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ესკალაცია საქართველოში იმის მაჩვენებელია, რომ კონფლიქტების მოწესრიგება შეუძლებელი ხდება. ამის მიზეზია კონფლიქტის შინაარსისა და მასთან დაკავშირებული საჯარო მმართველობის (ანუ შიდა მექანიზმების) და საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების არათავსებადობა, რაც თავისთავად პროცესის შემდგომ მსვლელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებსა და მოწესრიგების გზებზე უამრავი რეკომენდაცია არსებობდა, პროცესი მაინც ძალის გამოყენებით გაგრძელდა და მხარეები უფრო მეტად დაშორდნენ ერთმანეთს ვიდრე ეს ნავარაუდევია იყო ექსპერტთა მხრიდან. ამიტომ, კონფლიქტების მიზეზების ახლებური შეფასება აქტუალურია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგების

ძირითადი ტენდენციების სწორად შეფასებისა და ამ სფეროში უსაფრთხოების ახალი მექანიზმების ეფექტურად გამოყენებისათვის. მით უმეტეს რეალპოლიტიკის პირობებში, როცა სიტუაციები კარდინალურად იცვლება.

დღეს არავინ დაობს, რომ ეს კონფლიქტი გეოპოლიტიკური ინტერესის გამო რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული. ისიც უნდა ითქვას, რომ კონფლიქტის ინსპირირების საშუალებად ნაციონალური იდენტობა იქნა გამოყენებული. ამასთან, მაშინდელი ხელისუფლების ძლიერ მხარედ საერთაშორისო მექანიზმების გამოყენება უნდა ჩაითვალოს, სუსტ მხარედ კი, საჯარო მმართველობის არასაკმარისი კომპეტენცია შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების შემუშავებაში.

კონფლიქტურ ზონებში სახელმწიფოს დღევანელი პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც „გაქცევის“ ან „გადადების“ პოლიტიკა. პირველი გულისხმობს სიტუაციას, როცა ერთ-ერთი მხარე პრაქტიკულ ქმედებას გაურბის და მოწინააღმდეგე მხარის იგნორირებას ახდენს. ხოლო მეორე, გარკვეულ წილად ღია პოლიტიკური ბრძოლის სცენიდან გასვლას და გამარჯვებულისათვის საკუთარი ტერიტორიის მფლობელობაში დატოვებას გულისხმობს. ვფიქრობთ, ხელისუფლების მხრიდან ასეთი პოლიტიკა სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს და სახელმწიფოს ახალ საფრთხეებს უქმნის.

სწორედ ამიტომ, კონფლიქტის მხარეებს შორის თანხმობის მისაღწევად ახალი გზების ძიება და მეცნიერული ანალიზი (მონიტორინგი, პროგნოზი, მართვა) განსაზღვრავს თემის აქტუალობას.

ეთნოპოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა ისაა, რომ კონფლიქტის მიზეზების, არსისა და გადაწყვეტის გზების მეცნიერული კვლევები იდეოლოგიზირებულია და ამის გამო პრაქტიკული შედეგის მიღწევა უფრო და უფრო არარეალური ხდება. ეს ვითარებაც ახალი პრაქტიკული მიდგომების გამომუშავებას ითხოვს, სადაც სახელმწიფო პროცესის ერთადერთ აქტიორად კი არ გამოდის, არამედ

პროცესის მართვის მიზნით სტრატეგიულად დამუშავებულ და პროცესით დაინტერესებულ სუბიექტებთან შეთანხმებულ საქმიანობას ახორციელებს.

საქართველოს მიერ არჩეულ „გადადების“ პოლიტიკას თავისი ობიექტური მიზეზი გააჩნია. ეს არის რუსეთთან უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობები. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში კავკასიის რეგიონის მიმართ ღიად თუ შეფარვით თავიანთი ინტერესი 30-ზე მეტ სახელმწიფომ გამოამჟღავნა. მათ შორის: ამერიკამ, გერმანიამ, საფრანგეთმა, თურქეთმა, ირანმა, ჩინეთმა, იაპონიამ და სხვ., რომ აღარფერი ვთქვათ ჩრდილო ატლანტიკურ (ნატო) ბლოკზე, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის მსხვილი აქტიორია.

ასეთ პირობებში სახელმწიფოს მხრიდან კონფლიქტების მართვის კონსოლიდირებული მოდელის აგება ასევე აქტუალური პრობლემაა, რომელიც მეცნიერულ დამუშავებას ითხოვს.

კვლევის ობიექტია - ეთნოპოლიტიკური უსაფრთხოების პროცესი თანამედროვე საქართველოში.

კვლევის საგანია - საქართველოში ეთნოკონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების საჯარო მმართველობითი პოლიტიკის ეფექტიანი თეორიული, კონცეპტუალური და პრაქტიკული მექანიზმები.

კვლევის მიზანია - ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მართვის მეთოდური საფუძვლების ცვლილების აუცილებლობის დასაბუთება და ეთნოუსაფრთხოების ახალი მიდგომის შემუშავება.

ამოცანებია:

- ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობისა და განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლების ანალიზი;
- ექსპერტთა პოზიციების შესწავლა და ჩატარებული რეტროსპექტული კვლევის შედეგების განზოგადება;
- ეთნოკონფლიქტების მართვის ევროპული პრეცედენტებისა და აზიის ექსპერიმენტული შესაძლებლობების შესწავლა და ადგილობრივ სიტუაციასთან ადაპტირებისთვის საერთო მახასიათებლების გამოვლენა;

- ეკონომიკურ ბერკეტებზე დაყრდნობით კონფლიქტის მოწესრიგების საჯარო მმართველობითი ტექნოლოგიების მოდელირება;
- წინადადებების შემუშავება საქართველოს ეთნოპოლიტიკური უსაფრთხოების ფუნქციის განსახორციელებლად.

კვლევის პრობლემას წარმოადგენს: კონფლიქტების მართვის საქმეში კონფლიქტის შინაარსის არასწორ ინტერპრეტაცია და მასთან დაკავშირებული საჯარო მმართველობის (ანუ შიდა მექანიზმების) და საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების არათავსებადობა; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგების „გადადების“ პოლიტიკის არაფექტურობა.

თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევას საფუძვლად უდევს ეთნოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალ-კულტურული, ეკონომიკური, კონფლიქტოლოგიის, ეთნოკონფლიქტების მართვის, ეთნიკური ურთიერთობათა მენეჯმენტის, მონაცემთა გამოყენების დარგთაშორისი მიდგომა. ასეთი სისტემური მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ საქართველოში განვითარებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სტრუქტურული და პროცესუალური პრობლემები.

კვლევა ეყრდნობა ეთნიკური კონფლიქტების მართვის თეორიას, რომლის მიხედვით კონფლიქტების მართვა ვიწრო გაგებით გულისხმობს: კონფლიქტის ლოკალიზაციას, მონაწილეთა რაოდენობის შეზღუდვას და მოლაპარაკების პროცესის მომზადებას. ხოლო ფართე გაგებით: ეს არის კონფლიქტზე ზემოქმედების მენეჯმენტი, სხვადასვა ტიპის ჩარევათა გამოყენებით (ტრანსფორმაცია, მოწესრიგება და სხვა).

კვლევის ემპირული ბაზას წარმოადგენს: საინფორმაციო სააგენტოების მასალები (2000-2018 წწ.); წამყვანი ანალიტიკური ცენტრების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების მონაცემთა მეორადი ანალიზი; საექსპერტო შეფასებები (2000-2018 წწ.).

კვლევა დაფუძნებულია ისეთ მეთოდებზე, როგორცაა: ისტორიული, შედარებითი, ანალიზი, მოდელირება, ინდუქცია და

დედუქცია, ზოგადფილოსოფიურ დიალექტიკა, მათემატიკური და ეკონომიკური მეთოდები. ამ მეთოდებს კვლევის დიზაინისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ჩვენს მიერ შეთავაზებულ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირების დადგენის და ახსნის საშუალებას წარმოადგენენ.

კვლევის სიახლე:

✓ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული კონფლიქტების დადებით მხარედ მიჩნეულია კონფლიქტის მონაწილეთა ცოდნის სისტემაში უსიამოვნო გამოცდილებების საფუძველზე ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაციების დაბალანსების მზაობის გამოვლენა (კოგნიტური ბალანსის იმპლიმენტაცია საქართველოს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მართვაში);

✓ ძალთა ბალანსის თეორია ახნილია არა დისტანცირების, არამედ ჩართულობის პოზიციებიდან. შემოტანილია ექსპერიმენტული შესაძლებლობების ახალი მიდგომა, რომლის მიხედვით ამა თუ იმ სამეცნიერო თეორიის საკვანძო სიტუაცია თამაშდება არა რეალურ ექსპერიმენტში, არამედ წარმოსახვაში;

✓ პირველადაა მცდელობა კონფლიქტის მიზეზად მიჩნეული იქნეს არა ეთნიკური იდენტობის მახასიათებელი, არამედ გეოპოლიტიკური ინტერესის მქონე სუბიექტის მიერ ეთნიკურობის ფსიქოლოგიური იარაღის გამოყენება ტერიტორიის კონტროლისთვის;

✓ დასაბუთებულია ეკონომიკური ბერკეტების უპირატესობით ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მართვის პოლიტიკა;

✓ სიახლეს წარმოადგენს აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდებისა და უცხოელი ჟურნალისტების ანონიმური გამოკითხვის შედეგების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა.

ნაშრომის **პრაქტიკული დანიშნულებაა** კვლევის შედეგების ასახვის შესაძლებლობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში; შედეგებზე დაყრდნობით საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება; საჯარო მმართველობის მიერ მოლაპარაკებისა და დიალოგის გეგმების შედგენა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით; კონფლიქტის ზონებში

სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა და ადგილობრივი რესურსებისა და საერთაშორისო მსხვილი პროექტების განხორციელებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა; უსაფრთხოების სასწავლო პროგრამებში ახალი მიდგომის ასახვა.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი მოიცავს 128 გვერდს. შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, 4 თავის, ათი ქვეთავის და დასკვნისაგან, ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია 109 ერთეული დასახელებით და კითხვარის დანართი.

შესავალ ნაწილში განხილულია საჯარო მმართველობის (ანუ შიდა მექანიზმების) და საერთაშორისო მექანიზმების კონფლიქტის შინაარსთან არათავსებადობის პრაქტიკული შედეგები. მოცემულია კონფლიქტების მიზეზების ახლებური შეფასების აქტუალობა კონფლიქტის „გადადებული“ პროცესის გააქტიურებისა და ეთნოპოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფად. დასაბუთებულია სახელმწიფოს მხრიდან კონფლიქტების მართვის კონსოლიდირებული მოდელის აგების მნიშვნელობა „გაქცევის“ პოლიტიკის დასაძლევად.

ლიტერატურის მიმოხილვაში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების თეორიული შესწავლის მიზნით გაანალიზებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომები ზოგადი და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტოლოგიის, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და პოლიტიკური საფუძვლების, აგრეთვე საჯარო მმართველობის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის **პირველ თავში** - „**საჯარო მმართველობის როლი ეთნოპოლიტიკური უსაფრთხოების სფეროში (თეორიული საფუძვლები)**“, მოცემულია პრობლემის ახსნის ორი მიდგომა: 1. ეთნოსებთან საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული „ნელი მოქმედების ნაღმები“ ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში და 2. ერთიანი საბჭოთა იდენტობის გაქრობა. ორივე მიდგომა ეთნიკურობის თეორიას ეფუძნება.

ლიტერატურის ანალიზიდან ჩანს, რომ „ეთნიკურობის იდენტიფიცირების“ მახასიათებლების ახსნაში ეკონომიკური საკითხები

მხოლოდ გაკვირით, ძირითადი მახასიათებლების უზრუნველყოფის არგუმენტადაა მოყვანილი. რაც შეეხება პოლიტიკურ მახასიათებელს, მასში ეთნოსის პოლიტიკურ წარმომადგენელთა სტატუსთან დაკავშირებული პოზიციები და ქმედებებია მოაზრებული. არა, და გეოპოლიტიკური ინტერესების გამო, საქართველოში კონფლიქტები სხვა სახელმწიფოს მიერ იყო ინსპირირებული, ამიტომ, ეს ელემენტი პოლიტიკურ მახასიათებელში უნდა იქნეს განხილული (ეთნიკურობა, როგორც ინსტრუმენტი ტერიტორიაზე გეოპოლიტიკური ინტერესის უზრუნველსაყოფად).

აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დროს გამოყენებულ ტერმინებმა: „ქართულ-აფხაზური“, „ქართულ“-ოსური“ კონფლიქტი, კონფლიქტის მოწესრიგების ამოცანას ვექტორი შეუცვალა. ახალი მიდგომა ამ მიმართულებით გულისხმობს ნაციონალურ მახასიათებლებში ეკონომიკური საკითხების დეტერმინებას. ეს მახასიათებელი სამოქალაქო იდენტობის მაჩვენებელიცაა და ამ მიმართულებით მექანიზმების სწორად შემუშავება ეთნოპოლიტიკური უსაფრთხოების იდეას მდგრადობას სძენს.

კონფლიქტის მართვის „გაყინულ“ პროცესთან დაკავშირებული პრობლემები ახსნილია ევროკავშირის მოქმედების პრინციპის მიხედვით - „ჩართულობა აღიარების გარეშე“. გაანალიზებულია ამ პრინციპის მნიშვნელობა დაახლოების პროცესის სამოქმედო გეგმის შედგენისთვის, რადგან იგი კონფლიქტური რეგიონის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ პირებს სავაჭრო კავშირების განვითარების დიდ შესაძლებლობას უქმნის. პოლიტიკური რისკი ამ შემთხვევაში რბილდება, ვინაიდან რუსეთი საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობას ნაკლებ მტკივნეულად აღიქვამს, ვიდრე სამხედრო ალიანსთან ჩვენს ურთიერთობას.

რეალპოლიტიკიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს იმის ილუზია, რომ საქართველო უფრო მიმზიდველი მაშინ გახდება, როცა კონფლიქტური რეგიონები ავტომატურად საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდებიან. აქ მნიშვნელოვანია პირდაპირ აფუხებთან და ოსებთან სასაუბრო საკითხების დაგეგმვა: სტატუსის სხვადასხვა ვერსიები, ცენტრალურ წარმომადგენლობით ორგანოებში (პარლამენტი) ქვოტის განსაზღვრა,

სახელმწიფო ენასთან ერთად აფხაზურ ენაზე კანონმდებლობის თარგმნა და სხვა. სწორედ საჯარო სამსახურს შეუძლია კრაუდსორსინგის დემოკრატიული მექანიზმების დანერგვა მოლაპარაკების მომზადების პროცესში, ეს ნიშნავს, რომ რიგითი მოქალაქე იგრძნობს მისი აზრის გათვალისწინების შესაძლებლობას, მისთვის საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტისას.

კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებთან და მართვასთან დაკავშირებით დასაბუთებულია ახლებური მეთოდური მიდგომა. კერძოდ, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის, ჰანს მორგენტაუს ნაშრომში პოლიტიკური რეალიზმის თეორიის საფუძვლებზე, პირველადაა მოცემული მცდელობა კონფლიქტის მიზეზად მიჩნეული იქნეს არა ეთნიკური იდენტობის მახასიათებელი, არამედ გეოპოლიტიკური ინტერესის მქონე სუბიექტის მხრიდან ეთნიკურობის, როგორც ფსიქოლოგიური იარაღის გამოყენება ტერიტორიის კონტროლისთვის. ბალანსის თეორია გამოყენებულია ორი მიმართულებით; 1. პიროვნული - კოგნიტური ბალასი (ფ. ჰაიდერი, ლ. ფესტინგერი) და 2. პოლიტიკური - ძალთა ბალანსი. საქართველოს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების საკითხში მუდმივად კონფრონტაციული ბალანსის მიდგომა გამოიყენებოდა, ჩვენს შემთხვევაში არის მცდელობა ამ მიდგომის ნაცვლად გამოყენებული იქნეს კოოპერაციული, ანუ ბალანსი არა დისტანცირებით, არამედ ჩართულობის პოზიციებიდან.

დისერტაციის მეორე თავი „ეკონომიკური ასპექტების პრიორიტეტულობა ეთნოკონფლიქტების რეგულირების სფეროში (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მაგალითზე)“ ეხება პრობლემის ექსპერტული ხედვისა და სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების ანალიზს.

სიღმისეული ინტერვიუს ანალიზი განხორციელდა დისკურსული ანალიზის გამოყენებით, ჰ.რ.ბერნარდის ანალიტიკური სტრატეგიის საფუძველზე. კვლევა განხორციელდა ეკონომიკური მეთოდების გამოყენების უპირატესობის დადგენის მიზნით, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში.

ამ მიზნის მისაღწევად კითხვები დაჯგუფებულია 4 მიმართულებით: როგორია კონფლიქტის მოწესრიგების სფეროში საქართველოს სახელმწიფოს საქმიანობის დინამიკა? ეკონომიკური მეთოდებით შესაძლებელია თუ არა ეთნოკონფლიქტების მოწესრიგების სამშვიდობო პროცესის განვითარება? რატომ შეიძლება იყოს სარისკო ეკონომიკური მეთოდებით კონფლიქტის მართვა? კონფლიქტური ზონების მოსახლეობის ინტერესთა რომელ სფეროში შეიძლება განავითაროს საჯარო მმართველობამ კონფლიქტის მოწესრიგების გეგმის შემუშავება?

მონაცემების სრულ კორპუსს მიენიჭა კოდები აბრივატურის მიხედვით (სულ 9). გამოიკვეთა, რომ ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნდობის აღდგენის აუცილებლობას უკავშირდება, რომლის შემდეგ შესაძლებელია ერთობლივ პროექტებზე სუბარი. ეს პროცესი დროში იწელება და დიდ ნებისყოფას მოითხოვს ნებისმიერი მხარისგან.

თვისობრივმა კვლევამ დაასაბუთა, რომ შიდა ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების სპეციალური ზონა, რომელიც სავსებით შესაძლებელია გახდეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საზოგადოებების დამაახლოვებელი ფაქტორი, ვინაიდან, ნებისმიერი ადამიანისათვის, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ მხოლოდ ამ ინიციატივის საფუძველზე იყოს შესაძლებელი კონფლიქტის მოგვარება, თუმცა სპეციალური ეკონომიკური ზონა უნდა განვიხილოთ როგორც ნდობის აღდგენის კარგი ინსტრუმენტი, როგორც ქართველების, აფხაზების და ოსების თანამშრომლობის საშუალება.

ცენტრალური ხელისუფლების ახალი სამშვიდობო ინიციატივა შეიძლება გავიაზროთ როგორც „ცივილური ერგნეთის“ მექანიზმი. დღეს, საქართველოს სახელმწიფოს მიღწევების გათვალისწინებით, რასაც მოწმობს საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის დაწინაურება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მექანიზმის გამოყენება ბევრად ეფექტიანი იქნება.

კონფლიქტის პოლიტიკური გადაჭრის გარეშე მოწესრიგება შეუძლებელია, თუმცა ეკონომიკას გააჩნია ავტონომიურობის ის ზომა, როცა ის პოლიტიკურად შეზღუდულ გარემოში იძლევა დადებით შედეგს. ასეთი შედეგია კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის გამოცოცხლება, მისი რეაბილიტაცია, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ეკონომიკური მიმზიდველობის უზრუნველყოფა, მხარეთა შორის ნდობის აღდგენა.

რაოდენობრივმა კვლევამ დაასაბუთა, რომ მხარეთა განწყობა კონფლიქტის მიზეზების ცვლილებებთან დაკავშირებით ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების სურვილის მზაობას ეყრდობა. მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნიათ ინფორმაცია საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკასთან დაკავშირებით, მზად არიან ქართველებთან ერთად იმოღვაწეონ ბიზნესში. სპეციალური ეკონომიკური ზონის იდეა ესმით, როგორც სავაჭრო ზონა, საიდანაც ჩაი, ციტრუსი, თხილი და სხვა პროპდუქცია რუსეთის გარდა საქართველოს მეშვეობით გავა საერთაშორისო ბაზარზე, აგრეთვე სივრცე, ახალი ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობისთვის.

სიტუაციის პროგნოზირება შესაძლებელია ფ.ჰაიდერის კოგნიტური ბალანსის თეორიის საფუძველზე. განვლილი პრაქტიკის შეფასების საფუძველზე ადამიანები აცნობიერებენ საკუთარ უწონასწორობას, და ინტერპერსონალური ურთიერთობების გაზრდის ტენდენცია ჩნდება.

მაშასადამე, ეკონომიკური ბერკეტებით ეთნიკური კონფლიქტების ეფექტანი მართვის პროგნოზი ურთიერთდათმობის საფუძველზე მიღწეულ კომპრომისებს უკავშირდება. კვლევის შედეგების მიხედვით, სოციალურ დონეზე კომპრომისი მიღწევადია, რადგან მხარეებს საერთო ინტერესები გააჩნიათ. კომპრომისი გაყინული კონფლიქტის პირობებში ურთიერთობათა შენარჩუნების საშუალებაა, რაც „რაღაცის“ მიღწევის საშუალებას იძლევა, ყველაფრის დაკარგვის სანაცვლოდ.

დისერტაციის მესამე თავი - კონფლიქტების მართვის საერთაშორისო მეთოდები (ტრადიციული მიდგომები და ექსპერიმენტული შესაძლებლობები) - საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს ეხება.

ახსნილია ექსპერიმენტული შესაძლებლობების, როგორც ახალი თეორიული მიმდინარეობის ჩამოყალიბების მნიშვნელობა. ექსპერიმენტულ შესაძლებლობებში იგულისხმება შემოქმედებითი საქმიანობა, რომელშიც ამა თუ იმ სამეცნიერო თეორიის საკვანძო სიტუაცია თამაშდება არა რეალურ ექსპერიმენტში, არამედ წარმოსახვაში.

ექსპერიმენტულ შესაძლებლობებად მიიჩნევა საერთაშორისო პრეცედენტების მიხედვით განხორციელებული ეთნოკონფლიქტების მართვის ტრანსფერი, რომლის მიხედვით ეთნიკურობის გარეშე ინტეგრაციის შემთხვევაში წარმატების ალბათობა დიდია. ექსპერიმენტულ შესაძლებლობებს კლასიკური მიდგომისაგან მოქმედების გარკვეული უპირატესობები გააჩნია.

ყველა კლასიკური მიდგომა (ნეომარქსისტული, მოდერნიზაციული, კულტურულ-პლურალისტული, სტატუს-ჯგუფური, რაციონალური) ეთნიკური სეგმენტაციის ისტორიულ მაგალითებს ეყრდნობა და უთანასწორობის კონფლიქტოგენური პოტენციალით ხასიათდება. მაგალითად: მულტიკულტურულ და ეთნიკურად სეგმენტირებული საზოგადოების სტაბილიზაციისთვის ბიპოლარული ბალანსის უზრუნველყოფა "ეთნიკურსა" და "უმცირესობას" შორის (Rothschild J.), მოდელი "ერთადერთი დომინირებული ჯგუფი და უმცირესობა" (Jung C.G.), ეთნიკური ფსიქოლოგიის თეორიები: პრიმორდიალიზმი, კონსტრუქტივიზმი, მოდერნიზმი, ეთნოსიმბოლიზმი (Horowitz D.) და ეთნიკური ქმედების თეორია (Gurr T.R.), ეთნიკური იდენტობა კულტურული განსხვავებულობის სოციალურად სანქციონირებულ, მაგრამ კონფლიქტის მოწესრიგებისთვის არასრულყოფილ შეხედულებებს ეყრდნობა.

ექსპერიმენტული შესაძლებლობები კი ასუსტებს კონფლიქტს და მისი მოწესრიგების პრაგმატული მოქმედების არეალს ზრდის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამის შედეგად იცვლება კონფლიქტის ემოციური ფონი, მცირდება მხარეთა ვნებები, მცირდება "ფსიქოზი", სუსტდება კონფლიქტის ჯგუფების საერთო კონსოლიდაცია. აქედან გამომდინარე, იცვლება მოლაპარაკების პროცესის წესები. წარმატების მისაღწევად აუცილებელია ამ პროცესის პრაგმატიზირება, რაც გულისხმობს გლობალური მიზნებისა და მიმდინარე ამოცანების გამიჯვნას. ექსპერიმენტული შესაძლებლობების მოლაპარაკების პროცესში ჩართვა უკავშირდება დროის ფაქტორს, სწორედ მისი შენელება იწვევს „გაყინულ“ კონფლიქტებს, ან მოწესრიგების „გადადებას“.

ტრადიციული მეთოდებით კონფლიქტის მოწესრიგების მზაობის შეცვლამ ეკონომიკური თანამშრომლობის მზადყოფნის მოლოდინით, თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია ძირეულად შეცვალოს პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის პროცესი. სწორედ ამ ცვლილებების უზრუნველყოფის მცდელობაა ექსპერიმენტული შესაძლებლობების ანალიზი. კონფლიქტურ რეგიონებში სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა პრინციპულად ახალი პოზიციაა ისეთი ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, რომლებიც მხარეთა თანამშრომლობას ითხოვენ, და რომელთა მიღწევა კონფრონტაციის პირობებში შეუძლებელია. ასეთ მიდგომის დროს კი, არის შანსი შეიცვალოს პარამეტრების სისტემა და ღირებულებითი კატეგორიები.

ამ თავში, ჩვენს მიერ მიღებული კვლევის შედეგები უკუკავშირების სისტემას ეყრდნობა. ობიექტი მკვეთრ ხარისხობრივ ცვლილებას განიცდის პარამეტრების თანდათანობითი რაოდენობრივი ცვლილებების პროცესში. ყველა განვითარებადი სისტემა (მათ შორის სოციალური, ეკონომიკური და სხვა) იწყებს რღვევას, თუ მასში "უკუკავშირი არ არის" (კატასტროფების მათემატიკური თეორია). ჩვენს მიერ ამ თეორიაზე დაყრდნობა გაპირობებულია არა მარტო უკუკავშირების გამოვლენის სურვილით, არამედ, იმ კრიტიკული წერტილის მოძებნის შესაძლებლობითაც, რომლის დროსაც არსებობს უარყოფითი მოვლენების ალბათობა.

ამ კონტექსტში ეკონომიკური მეთოდების სწორად გამოყენებამ შესაძლებელია შეცვალოს კონფლიქტის მდგომარეობა ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის მოლოდინებით და ამით თავიდან ავიცილოთ კონფლიქტის დესტრუქციული, დამანგრეველი ხასიათი.

საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ეთნიკური ნაციონალიზმი ბალტიის ქვეყნებში არის სახელისუფლებო ელიტის ფუნქციური ინსტრუმენტი, ეთნოპოლიტიკური სტრატეგიკაციისა და უთანასწორობის კონსერვაციის მიზნით ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კონტექსტში. ექსპერტების აზრით, ამჟამად კონფლიქტების განვითარება ბალტიისპირეთის ქვეყნებში შეუძლებელია. მისი წარმოშობის რისკის შემცირება, ერთის მხრივ, დამოკიდებულია რუსეთსა, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის გლობალური წინააღმდეგობების მოგვარებით და, მეორეს მხრივ, ბალტიის ქვეყნების პოლიტიკური ელიტის შესაძლებლობით, მოქმედონ დაბალანსების საზღვრები ევროკავშირსა და ნატოსთან მიმართებაში.

შესწავლით ისიც დადგინდა, რომ დიდი მსგავსება არსებობს კავკასიასა და ბალკანეთს, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებულ მოვლენებს შორის. 1999 წლის ივნისში გერმანიის ქ. კელნში გამართულ „დიდი რვიანის“ მორიგ სამიტზე, სადაც განხილული იყო გლობალიზაციის საკითხები, მსოფლიო ვაჭრობის, ფინანსების, სოციალური სფეროს თემები და სხვა, ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებმა მიიღეს სტაბილურობის პაკტი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის. პაკტში ყურადღება გამახვილებულია ბიზნესისა და გარემოს დაცვის სფეროებში რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივებზე, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ეთნიკური დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, ევროკავშირის უსაფრთხოების და მსოფლიო სექტორის რეფორმირებაზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებლობაზე.

გაანალიზებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაკტის მსგავსი კონცეფციის კავკასიაში შექმნის მცდელობა. ჯერ კიდევ 1999

წელს ეს საკითხი სტამბულის სამიტზე ე. შევარდნაძემ დააყენა, რომელსაც მხარი აზერბაიჯანმა და სომხეთმაც დაუჭირა. შემდეგ, 2000 წელს ევროპის პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრის მიერ (ბრიუსელი) დაიდო კავკასიის სტაბილურობის პაქტის ვარიანტი, რომელიც დადებით რეკომენდაციებთან ერთად აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რისკებსაც შეიცავდა. შემდეგ 2004 წელს გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა გერნოტ ერლერმა (Gernot Erler) დააყენა ეს საკითხი იმ პრინციპით, რომ „გაბრაზებისა“ და კავკასიაში ეთნიკური კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში იზოლაციის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს სოლიდარობის ჟესტი. 2008 წლის 5 დღიანი ომის შემდეგ თურქეთმა კვლავ განაახლა კავკასიის უსაფრთხოების პაქტის საკითხი.

პაქტის იდეა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ სამხრეთ კავკასიაში იგი შეიცავს ეკონომიკური და ადამიანური განვითარების მნიშვნელოვან დებულებებს. სამხრეთ კავკასიისთვის მომზადებული ზოგიერთი რეცეპტი (ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, თავისუფალი სავაჭრო ზონა, ევროს თანდათანობითი დანერგვა) შეიძლება შეესაბამებოდეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის პრეცედენტს, მაგრამ ისინი აპრობირებული და ადაპტირებული უნდა იყვნენ ადგილობრივ პირობებთან.

საქართველომ ეთნიკური ურთიერთობების გზა კონსტიტუციური დათმობებიდან შეიარაღებულ კონფლიქტამდე უკვე გაიარა, უფრო მეტიც, ახლა იგი თვითგადარჩენის ინსტიქტის ზღვარზეა. კონფლიქტის მოწესრიგების ხანგრძლივი გზა შედეგიანად და ღირსეულად რომ გავიაროთ, აქამდე არსებული კონფლიქტის მწვავე და დესტრუქციული ფორმების ნაცვლად კონფლიქტის მართვა ექსპერიმენტული შესაძლებლობებითა და პიროვნული ბალანსით ახალ რელობაში უნდა გადავიტანოთ. ესაა სოციალურ-ეკონომიკური სფეროს პრიორიტეტი და ხალხის ეკონომიკური ინტერესების რეალიზაცია.

ამიტომ, ევროპული მოდელის ანალიზის საფუძველზე კონსტრუქციულად მიგვაჩნია ინსტიტუციური და ინსტრუმენტული

(ეკონომიკური და სხვა წახალისებები თუ სანქციები, განათლება, ტექნოლოგიები) მექანიზმები. ამის პარალელურად ისმება კითხვა: საქართველოში განვითარებული ეთნოკონფლიქტების მოწესრიგების საქმეში რუსეთის ფედერაციის როლის გათვალისწინებით რამდენადაა შესაძლებელი ევროპული პრინციპების გამოყენება? სწორედ კავკასიის სტაბილურობის პაქტის იდეის რეალიზაცია რომ ვერ მოხერხდა, მთავარი მიზეზი რუსეთის ფაქტორის არასათანადოდ გათვალისწინებაა.

ბოლო პერიოდში რუსეთში განვითარებულ მოვლენებს თუ დავაკვირდებით, სიტუაცია აქაც იცვლება. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის (2025 წლამდე) სტრატეგიაში, კარგად ჩანს ეთნიკური ურთიერთობების მართვის ადმინისტრაციული მოდელის უარყოფა, რომლის მთავარი აქტიორი სახელმწიფოა. სტრატეგიაში წინა პლანზეა წამოწეული ინტერეთნიკური ინტერესებისა და ღირებულებების შეთანხმების პრაქტიკა, რომელსაც ეთნოსთა შორის მართვითი პრინციპები უნდა დაეყრდნოს. რაც შეეხება სამოქალაქო დიალოგს, ჯერ-ჯერობით სტრატეგიული ხედვა რუსეთის სამთავრობო დოკუმენტებში არ ჩანს, მაგრამ რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული დიალოგის აუცილებლობა დასაბუთებულია.

კავკასიის სტაბილურობის აქტის იდეა ცხდჰყოფს იმ მოსაზრების მცდარობას, რომ ქვეყნების გაერთიანება, კავკასიაში უსაფრთხოების პლატფორმის გარშემო შეუძლებელია კავკასიის ისტორიული და ეთნიკური ფესვებით გამოწვეული პრობლემების გამო.¹ აგრეთვე, გაზვიადებულია თეზისი, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასაღები მხოლოდ რუსეთშია.

აზიის პრეცედენტებიდან ნაშრომში განხილულია ჩინეთ-ჰონკონგის, ჩინეთ-ტაივანის მაგალითები. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, უკვე აღარავინ დაობს, რომ „ერთი სახელმწიფო - ორი სისტემა“ - ჰონკონგზე ჩინეთის სახელმწიფოებრვი

¹ Синан Оган. “Платформа сотрудничества и стабильности на Кавказе” и усилия Турции по обеспечению региональной безопасности // REGNUM. URL: <http://www.regnum.ru/news/1234391.html>.

სუვერენიტეტის მშვიდობიანი გზებით აღდგენის და ეკონომიკური ბერკეტებით თანარსებობის წარმატებული გზაა.

რაც შეეხება ჩინეთის ხელისუფლების ინიციატივას ტაივანთან მიმართებაში, ეს არის მტრობის შეწყვეტა და მშვიდობის შეთანხმების მიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა არ ცნობს ტაივანის სუვერენიტეტს და მას ჩინეთის შემადგენლობაში განიხილავენ, ჩინეთი მზადაა გადადოს გაერთიანების საკითხი მომავალში. მომავალში კი ეკონომიკური და სხვა ურთიერთობების ერთობლივ განვითარებას გულისხმობენ. ტაივანის კაპიტალის მოზიდვა ჩინეთში ადრე თუ გვიან ურთიერთდამოკიდებულებას შეუქცევადს გახდის. ჩინეთი და ტაივანი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ ტურისტულ საქმიანობაში. აღსანიშნავია თავისუფალი მგზავრობის პროგრამა შანჰაიში, ბეიჯინგსა და სიამინში მცხოვრებთათვის, რომელიც ჩინეთის მხრიდან „რბილად დაშვების“ პოლიტიკაა.

ეს და სხვა მაგალითები მსოფლიოს რეალპოლიტიკიდან მოწმობენ, რომ წარსულს ბარდება ის დრო, როდესაც ძალისმიერი მეთოდებით ხდებოდა პრობლემების გადაჭრა. დღეს უმთავრესი იარაღი არის ეკონომიკური მდგრადობა და სტაბილურობა.

დისერტაციის მეოთხე თავი საქართველოს ეთნოუსაფრთხოების განვითარების ეკონომიკური სცენარი, ეხება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ეთნოპოლიტიკური კონტექსტის ანალიზსა და გარე პოლიტიკურ რისკებს.

გარე პოლიტიკურ რისკებში ყველაზე მწვავედ რუსეთის ფაქტორი გამოიყურება. მაგრამ ამ რისკს ამცირებს ის ფაქტი, რომ რუსეთისთვის ნაკლებად გამაღიზიანებელია ევროკავშირის ჩართულობა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ რუსეთის სურვილს დაიწყოს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, საქართველოსთან მიმართებაში უმნიშვნელო ადგილი უკავია. მაგრამ, ვაჭრობა სხვა საქმეა, სამხედრო ალიანსი კი - სხვა. რუსეთის ხელისუფლება შესაძლოა არც თუ

ისე ლოიალურადაა განწყობილი ევროკავშირის როლის გაძლიერებისადმი რეგიონში, მაგრამ ეს განწყობა გაცილებით ნაკლებ აგრესიულია, ნატო-ს გაფართოებასთან შედარებით. ევროკავშირის სამხედრო, სტრატეგიული და უსაფრთხოების სისტემები არ არის ისეთი ძლიერი, რომ საქართველო დაეყრდნოს მას, როგორც რუსეთთან სრული დისტანცირების საშუალებას, ქვეყნის უსაფრთხოებისა და რეგიონული გამოწვევების თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებას. ამიტომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები კრიტიკული წერტილის მოძებნას ითხოვს, რადგან ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, უარყოფითი მოვლენების განვითარების ალბათობა საკმაოდ დიდია. ეს წერტილი სტრატეგიული და ტაქტიკური სვლების აღრევაა. სტრატეგია - ქვეყნის მომავლის უსაფრთხოებაა, ტაქტიკა-საერთაშორისო სამხედრო ალიანსებში გაერთიანება. ოპტიმალური მართვა ამ სიტუაციაში გულისხმობს არა მარტო საკუთარი ინტერესების, არამედ მეორე მხარის მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინებასაც.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების უსაფრთხოების მოდელის ფორმირების საქმეში ეკონომიკური მეთოდების სტრატეგიულ მიმართულებასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ტაქტიკური სვლები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ სტრატეგიული ხედვის შედეგიანობაზე. ასეთი სვლები რამდენიმე მიმართულებით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა) ეკონომიკურ ურთიერთობათა პოტენციალი.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მძიმე სოციალური ფონი შეიმჩნევა, ამის პარალელურად, ეკონომიკური ძვრებიც სახეზეა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ თანდათან იზრდება რუსეთზე დამოკიდებულება. მიხედვად ამისა, საქართველოში განხორციელებული კვლევებით დასაბუთებულია, რომ სავაჭრო ურთიერთობები ფინანსური სარგებლის მომტანია აფხაზეთისა და სამაჩაბლოთვის.

მართალია ეკონომიკა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცირე მასშტაბებისაა და მის წინსვლას რუსეთის ეკონომიკა მარტივად უნდა

გამკლავებოდა, მაგრამ კორუფციულმა მაღალმა მაჩვენებლებმა, კლანურმა სისტემამ გადაწყვეტილებების მიღებაში და ფართომასშტაბიანი მართვის გამოუცდელობამ, სხვა რეალობა მოგვცა.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეკონომიკურ ურთიერთობებს იმის პოტენციალი აქვს, რომ თითქმის მთლიანად ჩაანაცვლოს რუსულ-თურქული სავაჭრო გავლენა რეგიონში. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით მოლაპარაკებების გააქტიურებას მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი.

ბ) ბალანსი დასავლეთსა და რუსეთს შორის.

თავისთავად ბალანსი სტრატეგიული მიმართულებაა, მაგრამ რუსეთის ჩართულობით და არა დისტანცირებით. ამის უზრუნველყოფა კი ტაქტიკურ სვლებზეა დამოკიდებული.

მეცნიერები თვლიან, რომ თუ საქართველო-რუსეთს შორის არსებული პრობლემების კომპლექსი, მათ შორის ეკონომიკის, კულტურის და უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება ეფექტურად გადაწყდეს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მექანიზმების საშუალებით, რუსეთი ამას არ მიიღებს, როგორც ორმხრივი ურთიერთობების გაუარესების მცდელობას. ამასთან, პარტნიორული ურთიერთობები აშშ-სა რუსეთს, ევროპასა და რუსეთს შორის კეთილგანწყობილ ფონს ქმნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგებისთვის. საქართველო რუსეთის ბუნებრივი გეოპოლიტიკური მოკავშირეა კავკასიაში, განსაკუთრებით რელიგიური ექსტრემიზმის, საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის პირობებში. თავის მხრივ, რუსეთიც ბუნებრივი მეკავშირეა საქართველოსთვის სოცალ-ეკონომიკური პრობლემებისა და გასაღების ბაზრების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, მკვლევარები იმ დასკვნასაც აკეთებენ, რომ მთავარია - საქართველო რუსეთის ურთიერთობებში მხარეებმა იხელმძღვანელონ უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური რაციონალობით, და არა ურთიერთწყენისა და პოლიტიკური პრეტენზიების პოზიციებიდან.

გ) საკანონმდებლო უზრუნველყოფა

საქართველოს მთავრობის კონსტრუქტიული მიდგომაა, რომ კონფლიქტურ რეგიონებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესი გულისხმობს პრინციპს – „მეტი უფრო მეტისათვის“. აქედან გამომდინარე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებია შესატანი დეიზოლაციისათვის საჭირო შესაძლებლობების შესაქმნელად, რათა უფრო მოქნილი გახდეს აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი ურთიერთობები.

დ) საინვესტიციო გარემო

ეკონომიკური ურთიერთობები არის ძირითადი ღერძი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში, რომელიც ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, კონკრეტული პროექტების განხორციელებით უნდა განვითარდეს. ხოლო საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში - კავკასიის უსაფრთხოების პაქტის მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

ძირითადი დასკვნები

21-ე საუკუნის ეთნოპოლიტიკური რუკის ცვლილებათა სიმწვავე სახელმწიფოთა ეთნოუსაფრთხოების პოლიტიკის დილემაა, რომელიც გლობალურ და ადგილობრივ ინტერესთა ბალანსის აუცილებელ განახლებულ მიდგომებს საჭიროებს.

საქართველოში განვითარებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის გამო ყველა მხარემ დიდი დანაკარგი მიიღო. შედეგად: აფხაზეთი და სამაჩაბლო - ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლაციაშია, საქართველომ, დამატებით - დაკარგული ტერიტორიები, დევნილები და კონფლიქტების მართვის „გაყინული“ პროცესი, რუსეთმა ეკონომიკური სანქციები და ცუდი იმიჯი.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ეტაპზე, პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული პროცესები ამ ტერიტორიაზე გეოპოლიტიკური ინტერესების მქონე სახელმწიფოთა მისწრაფებების

რეალიზაციის შედეგია. ზოგიერთი მათგანის მიერ წახალისებული ეთნიკური იდენტობის აქტივიზაცია გასული საუკუნის 90-იანი წლების სახელმწიფოებრივი მოცემულობის პირობებში, ქვეყნის უმთავრეს სისუსტედ იქცა. თვითგადარჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ძალთა ბალანსის მცდელობა საქართველოსთვის წარმატებული არ აღმოჩნდა, რომლის ახსნა სახელმწიფოს სტრატეგიულ არჩევანში კი არა, განხორციელების მცდარ მეთოდურ გათვლებში მდგომარეობს. კერძოდ, პოლიტიკური რისკების გააზრებისა და მათი მართვის მექანიზმების დამუშავების გარეშე საერთაშორისო ორგანიზაციებში ქვეყნის გაწევრიანების მცდელობას, მოვლენების პროგნოზირების საქმეში სიფრთხილის ნაკლებობას კვლევების იდეოლოგიზირებულობამაც შეუწყო ხელი.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია კონფლიქტის მოწესრიგების შესაძლებლობას „ეთნიკურობის“ საფუძველით მაღალი სტატუსის მინიჭებაში ხედავს, რაც მხარეთა ინტერესებს კიდევ უფრო დაპირისპირებულს ხდის. ამასთან, ნაკლებად არის გათვლილი გეოპოლიტიკური ინტერესებით გამოწვეული საფრთხეების რისკები, ხოლო მოსახლეობის საჭიროებები და მათგან გამოწვეული პრობლემები ზოგად დეკლარაციული ხასიათისაა და მეორე რიგში ინაცვლებს.

პრობლემის უსაფრთხოების კონტექსტში განხილვას ეკონომიკის სფეროს გააზრების ახალი მიდგომებთან მივყავართ. ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ჩართულობის აქტივიზაცია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების არსტანდარტული გზების ძიებას ითხოვს. ესენია:

1. კონფლიქტების წარმოშობის საფუძველი, რომელიც ტერიტორიის კონტროლია გეოპოლიტიკური ინტერესის მქონე სუბიექტისგან, ხოლო ეთნიკური მახასიათებელი - ამ ინტერესების განხორციელების საშუალება;

2. კონფლიქტის დინამიკის შეფასება - არა „გადაბრალებით“, რაც კონფლიქტის ესკალაციას უწყობს ხელს, არამედ მხარეებისთვის საერთო უარყოფითი შედეგების ფიქსაციით;

3. დიალოგი - სტატუსის საკითხთან დაკავშირებით, რაც მხარეების დაახლოებას გამორიცხავს, არამედ მხარეებისთვის საჭიროებების მკაფიო აღწერა და მათი მოგვარების გზებთან დაკავშირებული საერთო პლატფორმის შექმნა;

4. პრობლემის დასმა - არა ტერიტორიული დანაკარგების პოზიციებიდან, არამედ მოქალაქეთა ძირითადი უფლებების (კონფლიქტური ზონაში მცხოვრებთა და დევნილების) დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის პოზიციებიდან;

5. კოგნიტური და ძალთა ბალანსი - ეკონომიკურ კულტურული ურთიერთობების განვითარებაში ჩართულობით და არა დისტანცირებით.

აქედან გამომდინარე, თუ ტერიტორიის კონტროლი ძირითადი კონფლიქტის გამოწვევის მიზეზია, ხოლო ეთნიკური იდენტობა - ამ კონტროლის განხორციელების საშუალება, მოწესრიგების პროცესი ეკონომიკურ ბერკეტებს უნდა დაეყრდნოს, როგორც ნაკლები რისკის შემცველ ელემენტს. ეს, თავის მხრივ, სამოქალაქო იდენტობის მაჩვენებლს ზრდის და ეთნოუსაფრთხოებას მდგრადობას სძენს.

კონფლიქტის გაყინული პროცესი ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების განვითარებას, პირიქით, იგი დროთა განმავლობაში გაუცხოებასა და „არსებულ სიტუაციასთან შეჩვევას“ იწვევს. ამაზე მეტყველებს კონფლიქტურ რეგიონში გადაადგილების შესაძლებლობათა თანდათანობითი შემცირება. ასე, რომ გაყინული პროცესი სუვერენულობის სტატუს-ქვოს კი არ ინარჩუნებს, არამედ ძვირდება და არაეფექტური ხდება მისი მართვა როგორც ადამიანური ურთიერთობების, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

საჯარო სამსახურს შეუძლია კრაუდსორსინგის დემოკრატიული მექანიზმების უზრუნველყოფით მოლაპარაკების მომზადების პროცესში აქტიური იყოს. ეს ნიშნავს, რომ რიგითი მოქალაქე იგრძნობს საკუთარი აზრის გათვალისწინების შესაძლებლობას მისთვის საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში ეთნიკური იდენტობის მახასიათებელმა დროთა განმავლობაში გადამწვეტი მნიშვნელობა დაკარგა, ეკონომიკური ბერკეტების პრიორიტეტულობამ კი წინ წამოიწია.

ასეთ ბერკეტად გამოდგება სპეციალური ეკონომიკური ზონა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ქართველ, აფხაზ და ოს მეწარმეებს განახორციელონ ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობა. თუმცა კრიმინალიზაციის გარკვეული რისკი აქაც ნიშანდობლივია. საერთაშორისო მექანიზმების ჩართვა ამ რისკის შემცირების კარგი საშუალებაა.

კონფლიქტური რეგიონების ეკონომიკური პოტენციალი საკმარისია იმისთვის, რომ მოზიდულ იქნეს ინვესტიციები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. კონფლიქტურ რეგიონებს ინვესტიციები სჭირდებათ ისეთ დარგებში, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, საბანკო სისტემა, განათლება და პროფესიული მომზადება, ინფრასტრუქტურა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სახელმწიფო მართვა, ნარჩენების გადამუშავება ან უტილიზაცია, გარემოს დაცვა.

ამ მიმართულებით ღონისძიებათა დაგეგმვა და მოლაპარაკების პროცესის ეფექტიანად წარმართვა შესაძლებელია, რადგან კავკასიის რეგიონში ეკონომიკური ხასიათის მსხვილ პროექტებში ევროკავშირის ჩართულობა, რუსეთის მიერ, შედარებით ნაკლებ საფრთხედ აღიქმება. მის მძაფრ და შეურიგებელ რექციას ძირითადად სამხედრო ალიანსებთან საქართველოს აქტიური თანამშრომლობის პროცესი იწვევს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ, როგორც საქართველოსთვის, აგრეთვე რუსეთისთვის, ბუნებრივი პარტნიორი არის ევროკავშირი.

კონფლიქტის მოწესრიგების მექანიზმების შერჩევაში მხოლოდ ეკონომიკური მეთოდების გამოყენება შედეგიანი არ იქნება. აუცილებელია პარალელურად "მედიაციის" პროცესების დაგეგმვა და განხორციელება, მშვიდობისმოყვარე ძალების გამოყენება, კრიმინალური სიტუაციის დაძლევის მართვა, სახალხო დიპლომატია, საგანმანათლებლო და კულტურული პოლიტიკური ზეგავლენა. სწორედ ეს არის უკუკავშირის

მექანიზმები, რომელთაც კონფლიქტის ესკალაციის რისკი მინიმუმადე შეიძლება შეამციროს და მოწესრიგების პროცესი დაიწყოს.

მსოფლიოს რეალპოლიტიკა ცხადყოფს, რომ წარსულს ბარდება ის დრო, როცა პრობლემების გადაჭრა ძალისმიერი მეთოდებით ხდებოდა. დღეს უმთავრესი იარაღი არის ეკონომიკური მდგრადობა და სტაბილურობა. ეკონომიკური ბერკეტების გავლენა პოლიტიკაზე იმის გარკვევასთან არის დაკავშირებული, თუ რამდენად შესაძლებელია ხალხმა მიაღწიოს სტაბილურ ცხოვრებას, რამდენად შეესაბამება პირადი მოთხოვნები მათ მოლოდინებს.

რუსეთის მხრიდან რბილი და ხისტი ძალის გამოყენების პირობებში დრო, საქართველოსა და კონფლიქტური რეგიონების სასარგებლოდ არ მუშაობს. ამიტომ, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგების სცენარის განვითარებაში დასაჩქარებელია ისეთი მექანიზმების ამუშავება, როგორცაა: ქართული დიასპორა, აფხაზი და ოსი ემიგრანტების ინტეგრაცია საერთო ეკონომიკური მიზნებითვის; სპეციალური ეკონომიკური ზონის საკითხის ინიცირება; სავალუტო კავშირი (კონვერტირებადი ვალუტის ფარგლებში); კანონმდებლობის მოდერნიზაცია დეიზოლაციისათვის საჭირო მაქსიმალური შესაძლებლობების უზრუნველყოფით. რაც უფრო მეტად ადეკვატური იქნება მმართველობითი გადაწყვეტილები ამ მიმართულებით, მით მეტია შესაძლებლობა ალტერნატიული ოპერატიული და სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად.

ძალთა ბალანსის უზრუნველსაყოფად სამხედრო ელემენტების გაძლიერება კონფლიქტების დინამიკას კიდევ უფრო დესტრუქციულ ხასიათს შესძენს. ეკონომიკური ასპექტების ლოკალიზაცია კი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვის და კონფლიქტის ეფექტური მართვის ბერკეტია, რაც არსებულ რეალობაში გაყინულ პროცესზე ზემოქმედების ვექტორის მაჩვენებელია.

მართვითი ზემოქმედების კომპლექსური მიდგომა, მეთოდებისა და ხერხების რეკონცეპტუალიზაციაა. ეთნოპოლიტიკური დაძაბულობის

მიზეზ-შედეგობრიობის ამბივალენტურობა დასბუთებულად ითხოვს მართვითი სტრატეგიის მიმართულების სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტს. ასე, რომ ეთნოპოლიტიკური მართვა არა მარტო ლოკალიზაცია, ეთნიკური იდენტობის წამქეზებლისგან სრული დისტანცირება, დეკრიმინალიზაცია და კონფლიქტის სუბიექტთა შეზღუდვაა, არამედ, ეს აქტიორთა ქმედებების მოტივების ტრანსფორმაციაცაა.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მართვის ჩატარებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ცალკეული რეკომენდაციები საქართველოს ეთნოპოლიტიკური უსაფრთხოების ფუნქციის განსახორციელებლად:

საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მართვის სტრატეგია შემუშავდეს არა მარტო შორეული ეფექტის მისაღწევად, არამედ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესწავლის დასახვეწადაც. ამიტომ ექსპერიმენტული შესაძლებლობების მოდელები მიმართული უნდა იყოს კრიტიკული აზროვნების გაძლერებისკენ, რაც საშუალებას მოგვცემს კორექტულად იქნეს გაგებული „გადადებული“ და „გაყინული“ კონფლიქტები.

ა) ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მართვის სტრატეგია:

1. მიმართული უნდა იყოს დაპირისპირებულ მხარეთა გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და ურთიერთდათმობების მექანიზმების ძიებისკენ;

2. კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, მრავალმხრივი დიპლომატიის პრინციპის საფუძველზე, მართვითი სფეროს რაც შეიძლება მეტი სუბიექტი უნდა იყოს ჩართული;

3. კონფლიქტის მონაწილეები თავიანთ მოთხოვნებს ეთნოცენტრიზმისა და დეკუმანური პოზიციებიდან განიხილავენ, ამიტომ მართვითი სუბიექტი ორიენტირებული უნდა იყოს მშვიდობაზე, ასეთი მიდგომა ნებისყოფასა და დროის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესახებ არსებული ლიტერატურა განიცდის თეორიულ-მეთოდოლოგიურ კრიზისს,

საფუძველი უნდა ჩაეყაროს რეალპოლიტიკაზე დაფუძნებულ კვლევების ორგანიზებას.

ბ) საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-7 მუხლის საფუძველზე, შემუშავდეს კანონი „სპეციალური ეკონომიკური ზონის სტატუსის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აფხაზეთის ტერიტორიაზე შესაქმნელი ზონების თავისებურებანი.

საქართველოს კონსტიტუციური ცვლილებები დაეფუძნოს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს წარმომადგენელთა აუცილებლობის პრინციპს, ამასთან, ყველა ნორმატიული აქტის აფხაზეთურ ენაზე თარგმნის აუცილებლობას.

გ) გადაიხედოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონმდებლობა, დეიზოლაციისათვის საჭირო მაქსიმალური შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად;

დ) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია გადამუშავდეს საერთაშორისო ეკონომიკური რისკების გათვლის გათვალისწინებით.

თავისთავად, ეთნოკონფლიქტების მართვა შეუძლებელია თანასწორობისა და სამართლიანობის შესახებ ეთნოდიალოგის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე.

ამ ღონისძიებების რეალიზება, ვფიქრობთ, შესაძლებელია ევროკავშირის პარტნიორობით სამგანზომილებიანი პროექტის ფარგლებში:

„ტრანსფორმაცია“, „ეკონომიკური თანაარსებობა“ და „დემოკრატია“.

კვლევის შედეგების აპრობაცია. დისერტაცია განხილული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტებისა და მაგისტრების ერთობლივ სხდომაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ პერიოდში ჩატარდა დებულებით გათვალისწინებული ორი სამეცნიერო - თემატური სემინარი:

თემატური სემინარი #1 – უფლებათა დაცვის გარანტიები - ღირებულებათა სისტემაში. 27.02.2018.

თემატური სემინარი #2 – პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემები. 23.07.2018.

თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის ფარგლებში, სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში მომზადდა სამი კოლოკვიუმი:

კოლოკვიუმი I – ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგების ძირითადი ტენდენციები საქართველოში (საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმები). 27.02.2018.

კოლოკვიუმი II – ეკონომიკური ასპექტების პრიორიტეტულობა ეთნოკომფლიქტების რეგულირების სფეროში (აფხაზეთის მაგალითზე). 23/07/2018.

კოლოკვიუმი III – ექსპერიმენტული შესაძლებლობების ანალიზი საქართველოს ეთნოუსაფრთხოების განვითარებისთვის. 21.02.2019.

დისერტაციის ძირითადი დებულებები წარდგენილი იყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

სისვაძე ლ. სახელმწიფო მართვის ინოვაციური მეთოდები: ეთნოპოლიტიკური უსაფრთხოება საქართველოში. ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება - 2014“. თბილისი, 22 ნოემბერი 2014 წელი. გვ.29.

სისვაძე ლ. კონფლიქტების მოწესრიგების ახალი ტექნოლოგიები და სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობა. მე-11 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება - 2017“. თბილისი, 25 ნოემბერი, 2017. გვ.40.

სისვაძე ლ. “რბილი ძალა“- ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სფეროში. მე-12 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება - 2018“. თბილისი, 19 ოქტომბერი 2018 წელი. გვ.37.

ექსპერტთა ინტერვიუების და სოციოლოგიური გამოკითხვის ანალიზი წარდგელი იყო მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019-ს

ფარგლებში საქართველოს 2019 წლის 24 აპრილს ტექნოპარკში გამართულ დარგთაშორისი კვლევების სემინარზე - „ინოვაციები, სახელმწიფო, ბიზნესი, საზოგადოება“.

ნაშრომის ცალკეული დებულებები აგრეთვე მოსმენილ იქნა სასწავლო-კვლევითი სამეცნიერო ცენტრის, სტუ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტისა და სტუ ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ერთობლივ სემინარზე 2019 წლის 15-17 აპრილს.

კვლევაში ფორმულირებული ძირითადი დებულებები ასახულია ავტორის შემდეგ პუბლიკაციებში:

სისვაძე ლ., ქოჩორაძე ო. „საჯარო მართველობის როლი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგებაში“. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“ #3(47) 2018. გვ.5-12.

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

სისვაძე ლ. „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგების არასტანდარტული პრეცედენტები“. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“ #1(49) 2019, ტომი I. გვ.83-90.

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

სისვაძე ლ. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ეკონომიკური ბერკეტებით ტრანფორმაციის პრობლემები თანამედროვე საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“ #2(50) 2019. გვ.21-27.

ავტორის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები:

1. სისვაძე ლ. პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების პრობლემა კიბერ პოლიტიკის პირობებში (საქართველოს რეალობა და პერსპექტივები) – „გელათი 2009“, თბილისი, 2009.

2. Sisvadze I. "Security coefficient of the states in the system of sustainable development (perspectives of the development of Latvia and Georgia)" - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "Law and Politology" #13, თბილისი, 2010.

3. Sisvadze L. "Formation of the mechanisms of small states security" - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "Law and Politology" #13, თბილისი, 2011.